სამოქალაქო განათლების ტესტი

ინსტრუქცია

თქვენ წინაშეა საგამოცდო ტესტის ელექტრონული ბუკლეტი.

ყურადღებით გაეცანით დავალებათა ინსტრუქციებს, კარგად გაიაზრეთ თითოეული დავალების პირობა და შემდეგ გაეცით პასუხი.

ტესტის მაქსიმალური ქულაა 55.

ტესტის შესრულებისათვის გეძლევათ 4 საათი.

გისურვებთ წარმატებას!

ინსტრუქცია

დავალება არჩევითი პასუხებით (№1-12, 19.1, 23.1, 23.2)

თითოეულ კითხვას თან ახლავს ოთხი სავარაუდო პასუხი. მათგან მხოლოდ ერთია სწორი. პასუხების ფურცელზე, სწორი პასუხის შესაბამის უჯრაში, დასვით **X** ნიშანი. არც ერთი სხვა აღნიშვნა ელექტრონული პროგრამის მიერ არ აღიქმება. თუ გსურთ მონიშნული პასუხის შესწორება, მთლიანად გააფერადეთ უჯრა, რომელშიც დასვით **X** ნიშანი და შემდეგ მონიშნეთ პასუხის ახალი ვარიანტი. შესწორებულ პასუხს ხელმეორედ ვერ აირჩევთ. თითოეული დავალება 1 ქულით ფასდება.

(1) 1. რომელი პრინციპი გულისხმობს, რომ ადამიანის ერთი უფლების დარღვევა უარყოფითად მოქმედებს სხვა უფლებების რეალიზაციაზე?

ა) უფლებათა იერარქიულობა;

ბ) უფლებათა ხელშეუვალობა;

გ) უფლებათა უნივერსალურობა;

დ) უფლებათა ურთიერთდამოკიდებულება.

(1) **2. რა არის „პოზიტიური ვალდებულებების“ კონცეფციის არსი ადამიანის უფლებათა სამართალში?**

ა) ინდივიდების ვალდებულება, პატივი სცენ სხვა ადამიანის საერთაშორისოდ აღიარებულ უფლებებს;

ბ) სახელმწიფოს ვალდებულება, მიიღოს კონკრეტული ზომები ადამიანის უფლებების დაცვის უზრუნველსაყოფად;

გ) სახელმწიფოს ვალდებულება, თავი შეიკავოს საკუთარი მოქალაქეების უფლებათა დარღვევისგან;

დ) საერთაშორისო ორგანიზაციების ვალდებულება, სრულად და ადეკვატურად გასცეს კომპენსაცია.

(1) **3. რას ნიშნავს ეკონომიკურ საქმიანობაში დივიდენდი?**

ა) ფულად დაბანდებებთან ან სავალო ვალდებულებებთან დაკავშირებული ნებისმიერი სახის სავალო მოთხოვნიდან მიღებული ნებისმიერი წინასწარ გაცხადებული შემოსავალი;

ბ) გადასახადის გადამხდელის მიერ დადგენილ ვადაში გადაუხდელი გადასახადების ან სანქციების თანხასა და ზედმეტად გადახდილი გადასახადების ან/და სანქციების თანხას შორის სხვაობა;

გ) აქციონერის მიერ აქციებიდან ან წილებიდან მიღებული შემოსავალი, რომელიც მიიღება მოგების განაწილების შედეგად, კაპიტალში მისი კუთვნილი აქციების პროპორციულად ან პროპორციის დაცვის გარეშე;

დ) გადასახადი, რომელიც დგინდება იმპორტირებული საქონლის ან გაწეული მომსახურების ფასზე დანამატის სახით და რომელსაც იხდის იმპორტიორი ამ გადასახადით გაზრდილი ფასით საქონლის ან მომსახურების იმპორტისას.

(1) **4. საქართველოს კანონმდებლობის მიხედვით რომელია ადგილობრივი და არა საერთო-სახელმწიფოებრივი გადასახადი?**

ა) ქონების გადასახადი;

ბ) მოგების გადასახადი;

გ) იმპორტის გადასახადი;

დ) საშემოსავლო გადასახადი.

(1) **5. როგორ გავლენას ახდენს ნეოლიბერალური პოლიტიკა სახელმწიფო ეკონომიკაზე?**

ა) აუქმებს კაპიტალიზმს და გეგმიურ ეკონომიკებზე გადაჰყავს ქვეყნები;

ბ) იცავს ადგილობრივ წარმოებასა და ბაზრებს გლობალური გავლენებისაგან;

გ) ზრდის საჯარო სექტორს, ამტკიცებს სახელმწიფო საკუთრებას და ამკაცრებს რეგულაციებს;

დ) ხელს უწყობს თავისუფალ ბაზარს, დერეგულაციასა და საჯარო მომსახურებების პრივატიზაციას.

(1) **6. საქართველოს კონსტიტუციის პრეამბულაში გაცხადებულია მოქალაქეთა ურყევი ნება, დაამკვიდრონ დემოკრატიული საზოგადოებრივი წესწყობილება. აღნიშნული წესწყობილების შესახებ მსჯელობებიდან, რომელი *<u>არ არის მართებული?</u>***

ა) დემოკრატიული საზოგადოებრივი წესწყობილება უზრუნველყოფს უმცირესობათა უფლებების დაცვას, პლურალიზმსა და სახელმწიფო ხელისუფლების პასუხისმგებლობას საზოგადოების წინაშე;

ბ) დემოკრატიული საზოგადოებრივი წესწყობილება გულისხმობს ხელისუფლების დანაწილებას, კონტროლის მექანიზმების არსებობასა და მოქალაქეთა აქტიურ მონაწილეობას პოლიტიკურ ცხოვრებაში;

გ) დემოკრატიული საზოგადოებრივი წესწყობილება ეფუძნება ხალხის სუვერენიტეტს, კანონის უზენაესობასა და ადამიანის უფლებების დაცვას, მათ შორის, გამოხატვისა და შეკრების თავისუფლებას;

დ) დემოკრატიული საზოგადოებრივი წესწყობილება მოითხოვს მთავრობის სრულ კონტროლს საზოგადოებაზე იმისათვის, რომ დაცული იყოს საზოგადოებრივი წესრიგი და უსაფრთხოება ნებისმიერი მეთოდით.

(1) **7. რა იერარქია არის წარმოდგენილი დავალებაში მოცემულ დიაგრამაზე?**



ა) ნარჩენების მართვა;

ბ) ნავთობის მოპოვება;

გ) წარმოების განვითარება;

დ) რესურსების მობილიზება.

(1) **8. რომელი მსჯელობა წარმოაჩენს მართებულად ღირებულებით კონფლიქტსა და ინტერესთა კონფლიქტს შორის განსხვავებას?**

ა) ერთადერთი რეალური განსხვავება ღირებულებით და ინტერესთა კონფლიქტებს შორის არის მათი მასშტაბი. ღირებულებითი კონფლიქტები, როგორც წესი, უფრო ფართო და გლობალურია, ინტერესთა კონფლიქტები კი ლოკალურია და კონკრეტულ მხარეებს შორის შეხლა-შემოხლას წარმოადგენს;

ბ) ვინაიდან ღირებულებითი კონფლიქტები ეხება შინაგან, სუბიექტურ რწმენებს, მათი ანალიზი და მართვა მხოლოდ ფსიქოლოგიური მეთოდებით არის შესაძლებელი, ხოლო ინტერესთა კონფლიქტები, რომლებიც გარეგან, ობიექტურ ფაქტებს ეხება, შეიძლება გადაწყდეს ეკონომიკური ან პოლიტიკური ინსტრუმენტების გამოყენებით;

გ) ღირებულებითი კონფლიქტის საფუძველია შეუთავსებელი ფუნდამენტური პრინციპები და მორალური რწმენები, რომლებიც განსაზღვრავს ქცევას. ინტერესთა კონფლიქტი კი წარმოიქმნება შეზღუდული რესურსების ფლობის სურვილიდან და აქცენტი კეთდება იმაზე, თუ რა სარგებელს მიიღებს თითოეული მხარე, და არა იმაზე, თუ რა არის თავისთავად სწორი;

დ) ღირებულებითი კონფლიქტები უფრო პრიმიტიული და განვითარების დაბალ საფეხურზე მყოფ საზოგადოებებშია გავრცელებული, სადაც დომინირებს ტრადიციული ნორმები და განსხვავებული შეხედულებების მიმართ შეუწყნარებლობა. განვითარებულ საზოგადოებებში კი ძირითადად ინტერესთა კონფლიქტები ჭარბობს, რომლებიც უფრო ცივილიზებული გზით გადასაჭრელია.

(1) **9.** **წაიკითხეთ ციტატა თომას ჰობსის ნაშრომიდან „ლევიათანი“ და უპასუხეთ კითხვას:**

„სანამ ადამიანებს არა აქვთ საერთო ძალაუფლება, რომელიც ყველას მოწიწების მდგომარეობაში ამყოფებს, ისინი ომად წოდებულ ვითარებაში არიან და ეს არის ომი ყველა კაცისა ყველა სხვა კაცის წინააღმდეგ. რამეთუ ომი არ არის მხოლოდ ბრძოლის ან შერკინების მომენტი, ომი ჰქვია დროის იმ მონაკვეთს, როდესაც საკმარისად ცხადია ბრძოლის გზით დაპირისპირების ნება.“

ციტატის მიხედვით, რატომ არის ჰობსისთვის საერთო ძალაუფლება აუცილებელი და როგორ ეხმიანება ეს მის მიერ შემოთავაზებულ „საზოგადოებრივი ხელშეკრულების“ იდეას?

ა) იმიტომ, რომ საერთო ძალაუფლება ამთავრებს ბუნებით მდგომარეობას და ქმნის წესრიგს, რომელიც საზოგადოებრივ ხელშეკრულებაზეა დაფუძნებული;

ბ) იმიტომ, რომ საერთო ძალაუფლება მოქალაქეებს შეუზღუდავ თავისუფლებას ანიჭებს, რომელიც გამორიცხავს საზოგადოებრივ ხელშეკრულებას;

გ) იმიტომ, რომ ძალაუფლება გარანტირებულია ღმერთის მიერ და სახელმწიფოს ვალდებულებაა ხალხი დაიცვას ტირანული მმართველობისგან;

დ) იმიტომ, რომ ძალაუფლება საჭიროა ქვეყნის გარე მტრებისგან დასაცავად, ხოლო სახელმწიფოს შიდა წესრიგი ბუნებრივად ყალიბდება.

(1) **10. წაიკითხეთ მონაკვეთი ალექსის დე ტოკვილის მიერ ჰარიეტ გროტეს მიმართ მიწერილი წერილიდან და უპასუხეთ კითხვას:**

„თქვენ იცავთ პრინციპებს, რომლებზეც დაფუძნებულია ჩვენი საზოგადოების ძველი სისტემა ევროპაში, ამასთანავე თავისუფლებას და ინდივიდუალურ პასუხისმგებლობას, რომელიც თან ახლავს მას; თქვენ განსაკუთრებით იცავთ საკუთრების უფლების დაწესებას. სრულიად მართალი ბრძანდებით; როგორც თქვენთვის, ასევე ჩემთვისაც რთულია ამ უმთავრესი კანონების გარეშე ცხოვრების წარმოდგენა.

თუმცა ვაღიარებ, რომ ეს ძველი მსოფლიო, რომლის მიღმა ვერც ერთი ჩვენგანი ვერ იხედება, თითქოს, სადაცაა გაცვდა; ამ უზარმაზარ და პატივცემულ მანქანას ჩანს, რომ დღითი დღე უთავდება მექანიზმები; და იმის მიუხედავად, რომ წინ ვერ ვიხედები, ჩემი რწმენა აწმყოს განგრძობითობაში შერყეულია... მაგრამ პატიოსანი ხალხის ვალდებულება, რომ დაიცვას და სიცოცხლეც კი გასწიროს იმ ერთადერთი სისტემისთვის, რომელიც მას ესმის, სულაც არ კლებულობს, თუ მათ უკეთეს სისტემას არ უჩვენებენ.“

რომელი პოლიტიკური იდეოლოგიის პრინციპებზე საუბრობს მოცემულ მონაკვეთში ავტორი?

ა) ანარქიზმი;

ბ) პოპულიზმი;

გ) სოციალიზმი;

დ) კონსერვატიზმი.

(1) 11. ინფოგრაფიკა ასახავს მონაცემებს საქართველოს უმაღლეს საგანმანათლებლო და სამეცნიერო-კვლევით დაწესებულებებში წარმოებული კვლევების შესახებ:



რომელი მსჯელობა შეესაბამება ინფოგრაფიკის მონაცემებს?

ა) წინა წელთან შედარებით, 2021 წელს უმაღლეს საგანმანათლებლო და სამეცნიერო დაწესებულებათა რაოდენობა გაიზარდა, ხოლო შესრულებული სამუშაოს მოცულობა შემცირდა;

ბ) 2021 წელს უმაღლეს საგანმანათლებლო და სამეცნიერო დაწესებულებებში როგორც დასაქმებულთა, ასევე მკვლევართა შორის უფრო მეტი ქალია, ვიდრე კაცი;

გ) 2021 წელს უმაღლეს საგანმანათლებლო და სამეცნიერო დაწესებულებებში 65 წელს გადაცილებულ დასაქმებულთა შორის უფრო მეტი ქალია, ვიდრე კაცი;

დ) უმაღლეს საგანმანათლებლო და სამეცნიერო დაწესებულებებში 2021 წელს დასაქმებულთა ყველა ასაკობრივ კატეგორიაში მამაკაცები სჭარბობენ.

(1) **12. დავალებაში მოცემულია 2010-2023 წლებში სხვადასხვა ქვეყანაში ექსპორტირებული პროდუქტებისა და სერვისების ღირებულება:**



მონაცემთა საფუძველზე გამოტანილი რომელი დასკვნაა მართებული?

ა) მოლდოვას ექსპორტირებული პროდუქტებისა და სერვისების ღირებულება 2020 წელს პანდემიის გამო არ შემცირებულა, ხოლო 2023 წელს იგი გაორმაგდა, რაც მას სხვა ქვეყნებს შორის ლიდერის პოზიციაზე აყენებს;

ბ) ყირგიზეთის ექსპორტირებული პროდუქტებისა და სერვისების ღირებულება 2010 წლიდან ყოველწლიურად იზრდებოდა და 2023 წელს სხვა ქვეყნებთან შედარებით ყველაზე მაღალი მაჩვენებელი ჰქონდა;

გ) საქართველოს ექსპორტირებული პროდუქტებისა და სერვისების ღირებულება 2010 წლიდან მოყოლებული შეუჩერებლად იზრდებოდა და 2023 წელს 8 მილიარდ დოლარს გადააჭარბა, რითაც ისტორიულ მაქსიმუმს მიაღწია;

დ) ლიბანის ექსპორტირებული პროდუქტებისა და სერვისების ღირებულება 2010-2019 წლებში სხვა ქვეყნებთან შედარებით მაღალ ნიშნულზე იყო, მაგრამ 2020 წელს მკვეთრად დაეცა და მომდევნო წლებში ვეღარ დაუბრუნდა ძველ დონეს.

ინსტრუქცია

თანმიმდევრობის დადგენა (№13)

დავალებაში მოცემული ჩამონათვალი დაალაგეთ მითითებული პრინციპის თანახმად. პასუხები ჩაწერეთ პასუხების ფურცელზე მოცემულ უჯრებში. გაითვალისწინეთ, რომ უჯრაში იწერება მხოლოდ არჩეული პასუხის შესაბამისი ციფრი. ქულათა მაქსიმალური რაოდენობა მითითებულია დავალების გასწვრივ.

(1) **13. დაალაგეთ თანმიმდევრულად სქემაზე მოცემული საქართველოს მოქალაქის უფლებათა ასაკობრივი ცენზის საფეხურები:**



	4*			

* ცხრილში მითითებულია სწორი პასუხი.

ინსტრუქცია

შესაბამისობის დადგენა (№14, 15, 16)

დავალებაში ორ სვეტად მოცემულია სხვადასხვა ტიპის ჩამონათვალი. დაადგინეთ შესაბამისობა ამ ორ სვეტში წარმოდგენილ ინფორმაციას შორის. პასუხები ჩაწერეთ პასუხების ფურცელზე მოცემულ ცხრილში. ქულათა მაქსიმალური რაოდენობა მითითებულია დავალების გასწვრივ.

(2) 14. I სვეტში მოცემულ მასმედიის პოლიტიკურ მნიშვნელობას შეუსაბამეთ II სვეტში მოცემული პოლიტიკაზე მასმედიის ზემოქმედების მოდელები:

I. მასმედიის პოლიტიკური მნიშვნელობა	II. მოდელები
ა) მედია უმთავრესად ეკონომიკურად ძლიერი სოციალური ფენის ინტერესებს იცავს და კაპიტალისტური ჰეგემონიის გამყარებას უწყობს ხელს, რაც გამოიხატება ბურჟუაზიული იდეების პროპაგანდასა და საზოგადოებისათვის სრულიად მიკერძოებული პოლიტიკური შეხედულების მიწოდებაში.	1. პლურალისტური 2. თავისუფალ-საბაზრო 3. გაბატონებულ-იდეოლოგიური 4. ელიტის მორჩილი
ბ) მედია, პირველ რიგში, ბიზნესია და მთლიანად ორიენტირებულია მოგებაზე. პოლიტიკურ პროცესებში თანამონაწილეობა არ წარმოადგენს მისთვის აუცილებლობას. ამიტომ მასში გამორიცხულია რომელიმე პოლიტიკური შეხედულებისადმი მიკერძოებულობა და იცავს საზოგადოებრივი განწყობების/ინტერესების ასახვის ფუნქციას.	
გ) მედიის როლი ძირითადად საზოგადოების ინფორმირებაში მდგომარეობს. ის მიუკერძოებლად წარმოაჩენს ქვეყანაში არსებული პოლიტიკური შეხედულებების ფართო სპექტრს და საზოგადოებაში განსხვავებული ძალების გაწონასწორებას ცდილობს.	
დ) მედია პოლიტიკურად მიკერძოებული ჯგუფების, სუბიექტური რედაქტორ-გამომცემლებისა თუ ჟურნალისტების ხელში არსებული იარაღია, რომელიც აშუქებს პოლიტიკური შეხედულებების ვიწრო სპექტრს. მისი ტენდენციური პოლიტიკური საქმიანობა იმ ჯგუფის ღირებულებებს ასახავს, რომელიც უმრავლესობით არის წარმოდგენილი მედიაში დასაქმებულ უფროს სპეციალისტთა შორის.	

(2) **15.** ადამიანის უფლებათა და თავისუფლებათა განვითარების სხვადასხვა ეტაპს, ანუ თაობას გამოყოფენ. დაადგინეთ შესაბამისობა I სვეტში დასახელებულ ადამიანის უფლებებსა და II სვეტში მოცემულ ადამიანის უფლებათა თაობებს შორის:

I. ადამიანის უფლებები	II. ადამიანის უფლებათა თაობები
ა) სიტყვის თავისუფლება	1. პირველი თაობის უფლებები 2. მეორე თაობის უფლებები 3. მესამე თაობის უფლებები
ბ) აღმსარებლობის თავისუფლება	
გ) კულტურული მემკვიდრეობის დაცვის უფლება	
დ) ბიომრავალფეროვნების უფლება	
ე) უსაფრთხო და ჯანსაღი სამუშაო გარემოს უფლება	

(1) **16.** რუკა ასახავს 2019 წელს მსოფლიოს სხვადასხვა ქვეყანაში არსებულ *გენდერული უთანასწორობის* ხარისხს. I სვეტში მოცემულ ქვეყნებს შეუსაბამეთ II სვეტში მოცემული ხარისხები:



I. ქვეყნები	II. გენდერული უთანასწორობის ხარისხი
ა) ჩინეთი	1. ძალიან დაბალი 2. დაბალი 3. საშუალო 4. მაღალი 5. ძალიან მაღალი
ბ) ესპანეთი	
გ) ავღანეთი	
დ) ირანი	
ე) ბრაზილია	

ინსტრუქცია

შეცდომის გასწორება (№17)

დავალებაში მოცემულია ტექსტი, რომელშიც დაშვებულია ფაქტობრივი შეცდომები (თარიღი, ტერმინი, სახელი და სხვ). იპოვეთ და შეასწორეთ ისინი. ნაპოვნი შეცდომა და მისი შესწორებული ვარიანტი ჩაწერეთ პასუხების ფურცელზე მოცემულ ცხრილში (შეცდომა - I სვეტში, ხოლო შესწორებული ვარიანტი - II სვეტში). გაითვალისწინეთ, ყოველი ნაპოვნი შეცდომა, მის შესწორებულ ვარიანტთან ერთად, 1 ქულით ფასდება. ქულათა მაქსიმალური რაოდენობა მითითებულია დავალების გასწვრივ.

(7) **17. ყურადღებით წაიკითხეთ ტექსტი, იპოვეთ და გაასწორეთ შეცდომები:**

საქართველო საერთაშორისო ურთიერთობებში

საერთაშორისო ურთიერთობების ისტორია უძველეს ცივილიზაციებთან ერთად იღებს სათავეს, როდესაც ქვეყნები ერთმანეთს დაუკავშირდნენ დიპლომატიით, ვაჭრობით, ომებითა თუ სხვა საქმიანობით. საერთაშორისო ურთიერთობებისათვის გარდამტეხ თარიღად ითვლება 1648 წლის ვესტფალიის ზავი, რომელმაც სახელმწიფოთაშორის ურთიერთობებში შეიტანა ავტორიტეტის თანამედროვე გაგება ანუ დამოუკიდებელ, ავტონომიურ სახელმწიფოს საზღვრებსა და შიდა საქმეებში ჩაურევლობის პრინციპი.

საერთაშორისო ურთიერთობების თვალსაზრისით მეოცე საუკუნე მოწმე გახდა დიდი ცვლილებებისა. ორმა მსოფლიო ომმა, კოლონიური იმპერიების დამხობამ და სხვა უმნიშვნელოვანესმა მოვლენებმა ხელი შეუწყვეს ისეთი საერთაშორისო ორგანიზაციების ჩამოყალიბებას, რომელთა ამოცანა სახელმწიფოებს შორის მშვიდობის, უსაფრთხოებისა და თანამშრომლობის ხელშეწყობაა. ერთ-ერთი ასეთი მნიშვნელოვანი მოვლენა იყო ცივი ომი, რომელიც დაიწყო მეორე მსოფლიო ომის შემდეგ, ხოლო დასრულების დროდ მიიჩნევა საბჭოთა კავშირის დაშლის თარიღი, 1995 წლის 26 დეკემბერი.

საერთაშორისო ორგანიზაციებს შორის ყველაზე მრავალწევრიანი გაერთიანებული ერების ორგანიზაციაა, რომელიც 1949 წელს შეიქმნა და დღესდღეობით მსოფლიოს უმეტეს სახელმწიფოს აერთიანებს. მშვიდობისა და უსაფრთხოების უზრუნველყოფის გარდა, გაეროს მიზნებს შორის არის ეკონომიკური განვითარების ხელშეწყობა, ადამიანის უფლებების პოპულარიზაცია და ჰუმანიტარული დახმარების აღმოჩენა. გაერო სტრუქტურულად არაერთგვაროვანი ორგანიზაციაა. მის შემადგენლობაში შედის ექვსი მთავარი ორგანო: გენერალური ასამბლეა, უშიშროების საბჭო და სხვ. გაეროს სისტემაში

გადასვლა ტექსტის მეორე გვერდზე

შედის ასევე სხვა დამხმარე ორგანოები, სპეციალიზებული დაწესებულებები, საერთაშორისო ორგანიზაციები. მაგალითად, მსოფლიო ჯანდაცვის ორგანიზაცია, იუნესკო და სხვა სუბიექტები.

მიუხედავად იმისა, რომ გაეროს სტაბილურობის უზრუნველსაყოფად სამშვიდობო მისიების ჩატარების საშუალება აქვს, ის მაინც არ არის სამხედრო ტიპის გაერთიანება. შესაბამისად, ის ნაკლებად ქმედითია, როდესაც საქმე შეიარაღებული კონფლიქტის მოგვარებას ეხება. ამ მხრივ, მნიშვნელოვანია ჩრდილოატლანტიკური ხელშეკრულების ორგანიზაციის არსებობა, რომელიც სწორედ სამხედრო-პოლიტიკური გაერთიანებაა. მისი მთავარი შტაბბინა მდებარეობს სტრასბურგში. ნატოს არსებობამ წევრი ქვეყნების ტერიტორიაზე ხანგრძლივი მშვიდობის დამკვიდრებას შეუწყო ხელი. საქართველოს ნატოსთან ხანგრძლივი თანამშრომლობის ისტორია აქვს. სხვადასხვა დროს საქართველო ნატოს ეგიდით მონაწილეობდა სამშვიდობო მისიებში კოსოვოში, ასევე მონღოლეთში. 2003-2008 წლებში საქართველოს თავდაცვის ძალები შეუერთდა აშშ-ს ხელმძღვანელობით წარმოებულ ოპერაციას, რომლის მიზანიც ერაყის თავდაცვითი შესაძლებლობების განვითარება იყო.

საერთაშორისო ორგანიზაციებს შორის გამორჩეულია ევროპის კავშირიც, რომელიც ევროპულ სახელმწიფოთა პოლიტიკურ გაერთიანებას წარმოადგენს. ევროკავშირის საკანონმდებლო ორგანო არის ევროპარლამენტი, რომელიც მნიშვნელოვან საკანონმდებლო ჩარჩოს ქმნის ევროპის კონტინენტზე მშვიდობისა და სტაბილურობის უზრუნველსაყოფად. საქართველო მისი დამოუკიდებლობის გამოცხადებიდან მალევე თანამშრომლობს ევროკავშირთან და მისი გაცხადებული პოლიტიკური გადაწყვეტილება ამ ერთობის წევრობაა. დასავლურ სამყაროში ინტეგრაციისაკენ საქართველოს სახელმწიფომ მნიშვნელოვანი ნაბიჯი გადადგა 1999 წლის 27 აპრილს, როდესაც გახდა ევროკომისიის წევრი. ამ გზაზე საქართველოს დიდი წარმატებაა 2014 წელს ევროკავშირთან ასიმილაციის შეთანხმების გაფორმება, ხოლო 2023 წელს - ევროკავშირის წევრობის კანდიდატის სტატუსის მოპოვება.

დაბრუნება ტექსტის პირველ გვერდზე

ინსტრუქცია

დავალება ღია დაბოლოებით (№18, 19.2, 19.3, 20, 21, 22, 23.3-23.7)

ყურადღებით გაეცანით დავალების პირობას. პასუხების ფურცელზე შესაბამის ადგილას ჩაწერეთ დავალების პირობის ადეკვატური, კონკრეტული, მკაფიოდ ჩამოყალიბებული პასუხი. ქულათა მაქსიმალური რაოდენობა მითითებულია თითოეული დავალების გასწვრივ.

(4) **18.** სქემა არასრულად ასახავს მოცემულ სახელმწიფოთა ტერიტორიულ-პოლიტიკურ მოწყობას. შეავსეთ სქემა:

სახელმწიფო	სახელმწიფოს ტერიტორიული მოწყობა	საკანონმდებლო ორგანოს (პარლამენტის) დასახელება	მმართველობის ფორმა
ისრაელი	**18.1**	ქნესეთი	საპარლამენტო რესპუბლიკა
გერმანია	ფედერაციული	**18.2**	საპარლამენტო რესპუბლიკა
შვედეთი	უნიტარული	რიქსდაგი	**18.3**
18.4	უნიტარული	უმაღლესი რადა	ნახევრადსაპრეზიდენტო რესპუბლიკა

(3) 19. მოცემულია 2024 წლის მსოფლიო რუკა ლეგენდის გარეშე. რუკის ანალიზის საფუძველზე უპასუხეთ კითხვებს:



(1) **19.1 რა არის ასახული მოცემულ რუკაზე?**

ა) მშვიდობის ხარისხი;

ბ) კანონის უზენაესობა;

გ) სიცოცხლის ხანგრძლივობა;

დ) ეკონომიკური განვითარება.

(1) **19.2 რუკის მონაცემების მიხედვით შეაფასეთ სკანდინავიის ქვეყნებში არსებული მდგომარეობა.**

(1) **19.3 იმსჯელეთ, დაბალი მაჩვენებლის მქონე ქვეყნებში არსებული მდგომარეობის შესაძლო გამომწვევ მიზეზებზე.**

(5) **20. დავალებაში მოცემულია სასკოლო პროექტის მიზნის, ამოცანებისა და განხორციელების გზების არასრული ვარიანტი. იმისათვის, რომ სასკოლო პროექტის მოცემულმა ნაწილმა მიიღოს დასრულებული სახე, დავალებები შეასრულეთ შემდეგი თანმიმდევრობით:**

I. განსაზღვრეთ და ჩაწერეთ I ამოცანა, ცხრილში მოცემული განხორციელების გზების ჩამონათვალიდან გამომდინარე; *(დავალება 20.2)*

II. დაწერეთ განხორციელების სამი სხვადასხვა გზა, რომლებიც ხელს შეუწყობს ცხრილში მოცემული II ამოცანის შესრულებას; *(დავალება 20.3)*

III. განსაზღვრეთ და ჩაწერეთ პროექტის მიზანი, რომლის მიღწევაც შესაძლებელია პროექტის ორივე ამოცანისა და მათი განხორციელების გზებიდან გამომდინარე. *(დავალება 20.1)*

(1)	20.1	<u>**პროექტის მიზანი:**</u> *(ჩაწერეთ მიზანი, რომლის მიღწევაც შესაძლებელია მოცემული ამოცანებიდან და განხორციელების გზებიდან გამომდინარე).*
(1)	20.2	<u>**პროექტის I ამოცანა:**</u> *(განსაზღვრეთ და ჩაწერეთ კონკრეტული ამოცანა, I ამოცანის განხორციელების გზებიდან გამომდინარე).* <u>**პროექტის II ამოცანა:**</u> **მოსწავლეებში კრიტიკული აზროვნებისა და პოლიტიკური დეზინფორმაციისადმი მედეგობის გაძლიერება.**
(3)	20.3	<u>**I ამოცანის განხორციელების გზები:**</u> 1. მოსწავლეთა მონაწილეობით კონფერენციის მოწყობა თემაზე: ,,არჩევნების როლი და აქტიური მოქალაქეობის მნიშვნელობა“. 2. არჩევნებზე სადამკვირვებლო მისიის მქონე ორგანიზაციის წარმომადგენლის მოწვევა და მოსწავლეთათვის ლექციის ჩატარება თემაზე ,,სამართლიანი არჩევნები“. 3. კლასში სიმულაციური არჩევნების ჩატარება. <u>**II ამოცანის განხორციელების გზები:**</u> *(დაწერეთ მოცემული ამოცანის განხორციელების სამი სხვადასხვა გზა).* 1. 2. 3.

(4) 21. გაეცანით ილუსტრაციას და უპასუხეთ კითხვებს:

(1) 21.1 რა არის ილუსტრაციის ძირითადი იდეა?

(1) 21.2 რომელ მმართველობით სისტემას აღწერს მოცემული ილუსტრაცია?

(2) 21.3 იმსჯელეთ, რა მექანიზმი უზრუნველყოფს ილუსტრაციით გამოხატულ იდეას და როგორ უწყობს ის ხელს საზოგადოების განვითარებას.

(5) **22. გაეცანით ტექსტს და შეასრულეთ დავალება ქვემოთ მოცემული მითითებების შესაბამისად:**

„ძლიერი ხელოვნური ინტელექტის (AI) სისტემები უნდა განვითარდეს მხოლოდ მაშინ, როდესაც დარწმუნებული ვიქნებით, რომ მისი შედეგი პოზიტიური იქნება და რისკები დაძლევადი. ეს თავდაჯერებულობა კარგად დასაბუთებული უნდა იქნას და უნდა გაიზარდოს სისტემის შესაძლო შედეგების ზრდასთან ერთად.

ამიტომ ჩვენ მოვუწოდებთ ყველა AI ლაბორატორიას, რომ სულ მცირე 6 თვით სასწრაფოდ შეაჩერონ AI სისტემების წვრთნა. ეს შეჩერება უნდა იყოს საჯარო და ღია, და მოიცავდეს პროცესში ჩართულ ყველა ძირითად მონაწილეს. თუკი ასეთი შეჩერების გაკეთება სწრაფად ვერ მოხერხდება, საქმეში მთავრობა უნდა ჩაერიოს და მორატორიუმი დააწესოს.“

პეტიცია „შეჩერდეს ხელოვნური ინტელექტის ექსპერიმენტები“, 2023 წლის 22 მარტი.

(1) 22.1 ტექსტიდან გამომდინარე, განსაზღვრეთ და დაასახელეთ სადისკუსიო თემა. იმსჯელეთ თქვენ მიერ შერჩეული სადისკუსიო თემის მოცემულ ტექსტთან შესაბამისობისა და აქტუალურობის შესახებ.

(4) 22.2 A. დაასახელეთ ორი არგუმენტი დისკუსიის დროს წარმოქმნილი პოზიციის დასაცავად;

B. დაასახელეთ ორი არგუმენტი დისკუსიის დროს წარმოქმნილი პოზიციის უარსაყოფად.

(თითოეული არგუმენტი უნდა იყოს არსებითად დამოუკიდებელი საზრისის მატარებელი.)

(9) 23. გააანალიზეთ მოცემული წყაროები და უპასუხეთ კითხვებს:

წყარო N1

საფრანგეთის რევოლუციის (1789-1799) პერიოდის გრავიურა, რომელიც ასახავს მაქსიმილიან რობესპიერს გილიოტინების ფონზე.

წყარო N2



ПРОТОКОЛ № 14

«Выдать» Индекс

дата 1937 г. г. Курсу прим. № 5

5. О самоубийстве П.ЯШВИЛИ.

(т.Берия)

1. Констатировать, что самоубийство П.ЯШВИЛИ, разоблаченного как шпиона и врага народа, является провокационным выпадом против партии и Советской власти, а поэтому похоронять его как врага народа.

2. Поручить тов.БЕРИЯ проинформировать Президиум Союза Советских писателей Грузии о контрреволюционной, шпионской и вредительской работе П.ЯШВИЛИ.

СЕКРЕТАРЬ ЦК КП(б)Г:

კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის ოქმი, 1937 წელი

„1. აღინიშნოს, რომ პ. იაშვილის თვითმკვლელობა, რომელიც გამოვლენილია როგორც ჯაშუში და ხალხის მტერი, წარმოადგენს პროვოკაციულ გამოხტომას პარტიისა და საბჭოთა ძალაუფლების წინააღმდეგ და ამიტომ ის დაკრძალულ უნდა იქნას, როგორც ხალხის მტერი.

2. დაევალოს ამხანაგ ბერიას საქართველოს საბჭოთა მწერლების კავშირის პრეზიდიუმისათვის პ. იაშვილის კონტრრევოლუციური, ჯაშუშური და მავნებლური საქმიანობის შესახებ ინფორმაციის მიწოდება. “

წყაროებზე გადასვლა: 3 4 5

დავალებებზე გადასვლა: 23.1 23.2 23.3-23.7

წყარო N3

,,ისინი ვინც ესწრაფვიან ჩვენს დაყოფას, ისინი ვინც აფერხებენ მთავრობის წინსვლას, ისინი ვინც ყოველდღე მუხანათური გამოხდომებით ცილს სწამებენ მას, ისინი ვინც მთავრობის წინააღმდეგ ესწრაფვიან სახიფათო გაერთიანებას ყოველგვარი ავი ვნებისა, ფიცხი სიამაყისა და ყოველივე იმისა, რაც სახალხო ინტერესებსა და სამშობლოს უპირისპირდება, თქვენი და სამშობლოს მტრები არიან. ისინი უცხოეთის აგენტები არიან.“

მაქსიმილიან რობესპიერი, 1758 – 1794 წლები;

წყაროებზე გადასვლა: *1-2* *4* *5*

დავალებებზე გადასვლა: *23.1* *23.2* *23.3-23.7*

წყარო N4

„სტალინმა მოიგონა „ხალხის მტრის“ კონცეფცია. ეს ცნება ავტომატურად გამორიცხავდა, რომ ეჭვმიტანილი ადამიანისა თუ ადამიანთა ჯგუფის იდეოლოგიური შეცდომები დამტკიცებული ყოფილიყო. ამან შესაძლებელი გახადა ყველაზე სასტიკი რეპრესიის გამოყენება, რომელიც რევოლუციური კანონმდებლობის ყველა ნორმას არღვევდა ყველას წინააღმდეგ, ვინც რაიმე ფორმით სტალინს არ დაეთანხმებოდა, იმ ხალხის წინააღმდეგ, ვინც მტრულ განზრახვებში მხოლოდ ეჭვმიტანილი იყო, მათ წინააღმდეგ, ვისაც ცუდი რეპუტაცია ჰქონდა. „ხალხის მტრის“ კონცეფციამ სინამდვილეში ნებისმიერი იდეოლოგიური დაპირისპირებისა თუ ამა თუ იმ საკითხზე საკუთარი შეხედულების შექმნის შესაძლებლობა მოსპო, პრაქტიკულ საკითხებთან დაკავშირებულისაც კი. დანაშაულის ერთადერთ მტკიცებულებად არსებული ლეგალური სისტემის საწინააღმდეგოდ, გამოიყენებოდა თავად ბრალდებულის „აღიარება“. როგორც შემდგომმა გამოკვლევამ აჩვენა, „აღიარება“ მიიღებოდა ბრალდებულის მიმართ ფიზიკური ზეწოლის გამოყენებით. [...] ის, ვინც წარსულში პარტიის ხაზს იცავდა, მსხვერპლად იქცა.

უნდა ვაღიაროთ, რომ რაც იმ პირებს შეეხება, რომლებიც მაგ დროს პარტიის ხაზს ეწინააღმდეგებოდნენ, მათი ფიზიკური განადგურების არანაირი სერიოზული საფუძველი არ არსებობდა. „ხალხის მტრის“ ფორმულა სპეციალურად იქნა შემოღებული მსგავსი პირების ფიზიკური განადგურების მიზნით.“

ნიკიტა ხრუშჩოვი, საიდუმლო მოხსენება, სკკპ XX ყრილობა, 1956 წელი.

წყაროებზე გადასვლა: 1-2 3 5

დავალებებზე გადასვლა: 23.1 23.2 23.3-23.7

წყარო N5

,,მთავარი განსხვავება დესპოტურსა და ტოტალიტარულ საიდუმლო სამსახურებს შორის ძევს განსხვავებაში „ეჭვმიტანილსა“ და „ობიექტურ მტერს“ შორის. ,,ობიექტური მტერი“ განისაზღვრება მთავრობის პოლიტიკის მიერ და არა მთავრობის ჩამოგდების რეალური სურვილის მიხედვით. ის არასდროს არის ინდივიდი, რომლის საშიში აზრების პროვოცირებაც შეიძლება, ან რომლის წარსულიც მის ეჭვმიტანილობას ამართლებს, არამედ ის არის „ტენდენციების მატარებელი“, როგორც დაავადებების მატარებელი. პრაქტიკულად, ტოტალიტარული მმართველი იქცევა ადამიანივით, რომელიც გამუდმებით აყენებს სხვა ადამიანებს შეურაცხყოფას, სანამ ყველა არ გაიგებს, რომ ეს ადამიანები მათი მტრები არიან და რის გამოც, მთავრობას თავდაცვის მიზნით მათი მოკვლა შეუძლია.“

ჰანა არენდტი, ,,ტოტალიტარიზმის დასაბამი“, 1951 წელი.

წყაროებზე გადასვლა: *1-2* *3* *4*

დავალებებზე გადასვლა: *23.1* *23.2* *23.3-23.7*

(1) **23.1 ჰანა არენდტის ტექსტის მიხედვით:**

ა) ტოტალიტარული მმართველი ებრძვის სახელმწიფოს მტრებს ქვეყნის ინტერესების დასაცავად;

ბ) მტრის მოკვლა შეიძლება მაშინ, როდესაც ის საფრთხეს უქმნის სახელმწიფოს ფუნქციონირებას;

გ) ტოტალიტარული მმართველი აპირისპირებს საზოგადოებას ადამიანთა გარკვეულ ჯგუფთან, რათა შემდგომში ამ ჯგუფს გაუმკლავდეს;

დ) ,,ობიექტური მტერი“ ის ადამიანია, ვინც მთავრობის ჩამოგდების რეალური სურვილით უპირისპირდება მთელ საზოგადოებას.

წყაროებზე გადასვლა: *1-2* *3* *4* *5*

დავალებებზე გადასვლა: *23.2* *23.3-23.7*

(1) **23.2 N4 წყაროს მიხედვით, რა შედეგი მოჰყვა „ხალხის მტრის“ ცნების დამკვიდრებას?**

ა) დაიცვა ქვეყნის საუკეთესო ინტერესები ეჭვმიტანილთა მხილებისა და განადგურების გზით;

ბ) კრიტიკულად განწყობილ ინდივიდებს მისცა იდეოლოგიური შეცდომების დამტკიცების შესაძლებლობა;

გ) მტკიცებულებებზე დაყრდნობით გაასამართლა სისტემის წინააღმდეგ მტრულად განწყობილი ადამიანები;

დ) გააქრო იდეოლოგიური დაპირისპირებები და მოქალაქეების პირადი აზრის დაფიქსირების შესაძლებლობა.

წყაროებზე გადასვლა: *1-2* *3* *4* *5*

დავალებებზე გადასვლა: *23.1* *23.3-23.7*

(1) **23.3** N1 წყაროს გამოყენებით იმსჯელეთ, რა პოლიტიკურ მიზნებს ისახავდა მაქსიმილიან რობესპიერის N3 წყაროში გამოთქმული შეხედულებები;

(2) **23.4** ჰანა არენდტის ტექსტის მიხედვით, რა განსხვავებაა „ეჭვმიტანილსა“ და „ობიექტურ მტერს“ შორის? იმსჯელეთ, რატომ უმარტივებს „ობიექტური მტრის“ ცნების დამკვიდრება „ეჭვმიტანილთან“ შედარებით ტოტალიტარულ მმართველს ძალაუფლების გამყარებას;

(1) **23.5** ნიკიტა ხრუშჩოვის მიხედვით, „ვინც წარსულში პარტიის ხაზს იცავდა, მსხვერპლად იქცა“. იმსჯელეთ, რა მიზეზით შეიძლება იმსხვერპლოს ტოტალიტარულმა სახელმწიფომ ისიც კი, ვინც „პარტიულ ხაზს“ იცავს;

(1) **23.6** N3 წყაროში მაქსიმილიან რობესპიერი მთავრობასთან დაპირისპირებულ ადამიანებს „სამშობლოს მტრებად“ მოიხსენიებს. არგუმენტირებულად იმსჯელეთ, რამდენად შეიძლება მოქალაქე სამშობლოს ინტერესებს იცავდეს და ამავდროულად მთავრობას აკრიტიკებდეს;

(2) **23.7** N2 წყაროს მიხედვით იმსჯელეთ, როგორ აისახა „ხალხის მტრების“ დევნის სტალინური პოლიტიკა საქართველოს სოციუმზე. იმსჯელეთ თანამედროვე დემოკრატიული სახელმწიფოს იმ ბერკეტებზე, რომლებიც ზღუდავს მმართველ ძალას, გაატაროს წყაროებში აღწერილი პოლიტიკა.

წყაროებზე გადასვლა: *1-2* *3* *4* *5*

დავალებებზე გადასვლა: *23.1* *23.2*